პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 10 სექტემბერი, 1942 წ. № 215 (6531). ფასი 15 კაპ.

სავსებით მომზადებული შევხვდეთ ზამთარს, ამხანაგო რკინიგზელებო!

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ამ მრისხანე დღეებში ჩვენი ქვეყნის რკინიგზელები ტრანსპორტზე თავიანთი თავდადებული შრომით დიდ სახელმწიფოებრივი და თავდაცვითი მნიშვნელობის საქმეს აკეთებენ. ისინი, როგორც საბჭოთა პატრიოტები თავიანთ ძალ-ღონეს, თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას ახმარებენ სოციალისტურ სამშობლოს კეთილდღეობას.

რკინიგზელთა არმიის საერთო ოჯახში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზას. სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ამიერ-კავკასიის რკინიგზაში შემავალი საქართველოს ცალკეული განყოფილებები, დისტანციები, დეპოები, უბნები.

მოწინავეთა ამოცანაა თან გაიყოლიონ ჩამორჩენილნი, რათა ტრანსპორტის ყველა დარგმა იმუშაოს შეუფერხებლად, საომარი დროის ტემპებით, რათა ყველანი—მეორთქლმავლენი, მევაგონეები, მოძრაობის, ლიანდაგისა და კავშირგაბმულობის მუშაკები სავსებით მომზადებული შეხვდნენ ომიანობის დროის მეორე ზამთარს. ამას მოითხოვს სამშობლო, საომარი ვითარება.

როგორია ფაქტიური მდგომარეობა ზამთრისათვის მზადების მხრივ ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის საქართველოს ხაზებზე? ამჟამად მიმდინარეობს ზამთრისათვის ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთება-გაჯანსაღება, მათი შეთბუნვა. რაც საყურადღებოა, ეს სამუშაო ტარდება ადგილობრივი რესურსებით, ყველა ადგილობრივ საშუალებათა გამოყენებით. ორთქლმავლების შეკეთება და გაჯანსაღება სანიმუშოდ ჩაატარა სამტრედიის დეპომ (უფროსი ცხვარაძე), რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს სოცშეჯიბრებაში ამიერ-კავკასიის რკინიგზის დეპოებს შორის. რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში ძირითადად დამთავრებულია ზამთრისათვის მექანიკური მოწყობილობისა და წყალსადენების კაპიტალური შეკეთება, წყალმიმღები არხებისა და ჭების გათხრა. მაგრამ საქმე ყველგან ასე როდია დაყენებული. ჩამორჩენა აქვს ამ მხრივ გზის თბილისის განყოფილებას.

რკინიგზის საქართველოს ხაზებზე უკვე დამთავრებულია თოვლსაფრების შეკეთება. გურჯაანის დისტანციის გარდა, დამთავრებულია აგრეთვე თოვლსაფრების ადგილებზე დამზადებაც. სალიანდაგო მეურნეობა კარგ მდგომარეობაშია ქუთაისის, შორაპნისა და სამტრედიის დისტანციებზე. თოვლსაწინააღმდეგო საშუალებათა და საერთოდ სალიანდაგო მეურნეობის გაუმჯობესების მხრივ აგვისტოში თავი ისახელა და ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის სალიანდაგო დისტანციამ, რომლის უფროსიც ამხ. კარაზანაშვილია.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თოვლამწმენდები ჯერ კიდევ არა აქვთ მზად თბილისის და ნავთლუღის დისტანციებს. თბილისის სავაგონო უბანი აგვიანებს თოვლამწმენდების გამოშვებას შეკეთებიდან.

სცდება ის, ვინც თავს იმით იმშვიდებს, რომ ზამთრამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, რა გვეჩქარებაო. საომარი ვითარება ვერ მოითმენს ასეთ უდარდელობასა და გულდამშვიდებულ განწყობილებას, რასაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო გადაზიდვებს ზამთარში, შეუძლია ჩაშალოს უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანათა შესრულება. ამას სამშობლო არავის აპატიებს.

რკინიგზის ტრანსპორტის მეურნეობათა ხელმძღვანელების, პოლიტგანყოფილებებისა და საკვანძო პარტიული კომიტეტების საბრძოლო ამოცანაა ზამთრისათვის მზადების საქმეში ყოველდღიური კონტროლი და დახმარება გაუწიონ ყველა დარგის სამსახურს, საორთქლმავლო დეპოებს, სავაგონო უბნებს, სადგურებს, სალიანდაგო და კავშირგაბმულობის დისტანციებს, რათა სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლით გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებანი, გამოავლინონ ახალი წყაროები, ადგილობრივი საშუალებებით შექმნან მასალის, სათადარიგო ნაწილების მარაგი, ზამთრისათვის მოამზადონ პირადი შემადგენლობა, ყურადღებით და მზრუნველობით აღზარდონ ახალი კადრები, სრულ წესრიგში მოიყვანონ ორთქლმავლები, ელმავლები და ვაგონები, სანიმუშოდ მოამზადონ ბუქსსაცხები მეურნეობა და შეაკეთონ ავტომუხრუჭები, იზრუნონ სათბობის მომარაგებისა და მისი ეკონომიისათვის. ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ზამთრისათვის სალიანდაგო მეურნეობის მომზადების დარგშიც. დროზე უნდა იყოს მზად თოვლამწმენდები, თოვლსაფრები და თოვლის შემკავებელი ღობეები, სარები და ცოცხები. ახლავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გზის განსაზღვრულ უბნებზე კოლმეურნეობების მიმაგრებას თოვლთან ბრძოლის შემთხვევაში. მუშა-ხელის გამოსაყვანად კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების საქმეში გზის დისტანციების მეთაურებს აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ რკინიგზასთან ახლო მდებარე რაიონების პარტრაიკომებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა.

ტრანსპორტის მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ახლავე უნდა გაითვალისწინონ გასული წლის ზამთრის პერიოდში არსებული დაბრკოლებანი, დაშვებული შეცდომები და მიიღონ გადამჭრელი ზომები მათი თავიდან აცილებისათვის. სექტემბერი ტრანსპორტზე ზამთრისათვის ყველაზე უფრო ქმედითი მომზადების დროა და ეს დრო რკინიგზელებმა სრული დატვირთვით უნდა გამოიყენონ.

ამ დღეებში ქალაქ მოლოტოვში შემდგარ მშრომელთა მიტინგის გადაწყვეტილებას—კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება დიადი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის—ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ყველა დარგი აქტიურად უნდა გამოეხმაუროს. ტრანსპორტზე სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად ყველა დავალებათა წარმატებით შესრულებასთან ერთად ზამთრისათვის სანიმუშოდ მომზადება—ეს იქნება საქმით პასუხი ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვაზე. თითოეული საბჭოთა რკინიგზელის კეთილშობილური ამოცანაა ახალი გამარჯვებებით შეხვდეს ოქტომბრის რევოლუციის დიად წლისთავს.

ჩვენი სამშობლოს ამ მრისხანე ჟამს რკინიგზის ტრანსპორტმა კიდევ უფრო ზუსტად და შეუფერხებლად უნდა იმუშაოს; დაუკავშიროს ერთმანეთს ზურგი და ფრონტი, **ყოველგვარ პირობებში** მიაწოდოს თავის ლეგენდარულ ძმას გმირ წითელ არმიას ყველაფერი, რაც საჭიროა ვერაგი მტრის—პირსისხლიანი ფაშიზმის საბოლოო განადგურებისათვის.

ირანის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა მ. აჰიმ რწმუნების სიგელები გადასცა

[illegible]

ევროპიდან

[illegible]

მოკლე ცნობები

[illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 სექტემბრის დილის ცნობა

8 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე **ნოვოროსიისკისა** და **მოზდოკის** რაიონებში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის დასავლეთით ჩვენი ჯარები დაძაბულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ. ჰიტლერელებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი, არაფრად აგდებენ უდიდეს ზარალს და იერიშები მოაქვთ ჩვენს პოზიციებზე. მოწინააღმდეგეს განსაკუთრებით მძიმე ზარალს აყენებს ჩვენი არტილერიის ცეცხლი. 6 შენაერთის უბანზე გერმანელთა ტანკები, რომლებიც შეტევაზე გადმოვიდნენ, დანაღმულ ველს წააწყდნენ. ნაღმებზე აფეთქდა მოწინააღმდეგის 3 ტანკი. ჩვენმა არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს გერმანელთა დანარჩენ ტანკებზე, რომლებიც დანაღმული ველის წინ მანევრობდნენ. არტილერიის ცეცხლით დაზიანებულ იქნა მოწინააღმდეგის 6 ტანკი. სხვა უბანზე, დასახლებულ პუნქტთან ბრძოლაში, მოსპობილია გერმანელთა ერთი ასეული ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ - დასავლეთით გრძელდებოდა ბრძოლები. ერთმა ჩვენმა სანაღმსტყორცნო ქვეგანაყოფმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინა მტრის თავმოყრილ ქვეითის ჯარზე. მოკლული და დაჭრილია 200-ზე მეტი ჰიტლერელი. სხვა უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის გააფთრებული იერიში მოიგერიეს. გაჟლეტილია 150 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 6 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსტყორცნი, ავტომატები და შაშხანები. ქვეითი ჯარის იარაღით ჩამოგდებულია გერმანელთა ბომბდამშენი.

* * *

ნოვოროსიისკის რაიონში ჩვენი ჯარები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ ჩვენს თავდაცვაში სოლივით შემოჭრილი მტრის ჯარების წინააღმდეგ. გვარდიის სანაღმსტყორცნო ქვეგანაყოფთა ზალპებით დამსხვრეულია გერმანელთა 40 ავტომანქანა ჯარებიანად. სხვა უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 6 ტანკი, 3 ნაღმსტყორცნელი ბატარია და გაჟლიტეს 140 ჰიტლერელი. მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედმა ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა 190 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მდინარის სამხრეთ ნაპირზე გადმოსული მტრის დაჯგუფების მოსასპობად. არტილერიისა და ჯავშანმტვრეველთა ცეცხლით დაზიანებულია გერმანელთა 5 ტანკი. განადგურებულია მტრის ერთი ასეული ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე 6 შენაერთის მებრძოლებმა გამაგრებული რაიონიდან განდევნეს მტერი და 3 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ დასახლებული პუნქტებისათვის ბრძოლაში გერმანელებმა 400 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მარტო მოკლულთა სახით. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

უნგრეთის მე-10 ქვეითი დივიზიის მე-6 პოლკის ტყვე ჯარისკაცმა, უნგრელმა იშტვან ფერენცმა განაცხადა: „ჩვენს ჯარებს აურაცხელი ზარალი მოსდით. რუსებთან ბრძოლებში ჩვენი პოლკი განადგურებულია და მისგან საცოდავი ნაშთები-ღა დარჩა. განსაკუთრებით დიდ ზარალს გვაყენებენ საბჭოთა ნაღმსატყორცნები. ამას წინათ ამ საშინელი იარაღის ცეცხლით მოსპობილ იქნა მე-6 პოლკის ორი ბატალიონი. უდიდესი ზარალის გამო უნგრელ ჯარისკაცთა სულიერი განწყობილება მკვეთრად გაუარესდა. ისინი გაბოროტებული არიან და სძულთ გერმანელები. ხშირად გაიგონებ, რომ ჯარისკაცები ამბობენ: „დაე ჩაძაღლდეს ჰიტლერი, რომ ჩვენ შინ დავბრუნდეთო“. ოფიცრები ცდილობენ ჩაახშონ ჯარისკაცთა უკმაყოფილება და სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ სასჯელს, დანაშაულის ჩამდენ ჯარისკაცს ხელებს ზურგისაკენ ამოუბრუნებენ ხოლმე და ისე ჰკიდებენ ხეზე. ასეთ მდგომარეობაში ჩვეულებრივ 2 საათს ამყოფებენ“.

* * *

გერმანიის ბატალიონის მოკლულ მეთაურს, კაპიტან ტელბაიგეს აღმოაჩნდა წერილი, რომელიც მას კაპიტან ვერნერ რეპკესათვის უნდა გაეგზავნა. ამ წერილში იგი სწერს: „უკანასკნელ ხანს მე ჩემი ბატალიონით მონაწილეობას ვიღებდი დაძაბულ ბრძოლებში. ზარალი საშინელია. ბატალიონიდან, საერთოდ რომ ავიღოთ, ერთი ასეულიც აღარ გადარჩა. გუშინ ტყვედ წამოვიყვანეთ 15 რუსი. ყველანი დავხოცეთ. მათ მონღოლური სახის ნაკვთები აქვთ, და უმრავლესობამ ცუდად იცის რუსული ენა. ისინი არაჩვეულებრივად შეუპოვარნი არიან და უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძვიან. ამ ბრძოლებში რუსულ ტანკებთან გაცნობა მომიხდა. მათ საუცხოო ტანკები აქვთ, და ჩვენ აქ კარგად ვიგრძენით მათი ძალა. გინახავს თუ არა ტანკები „ტ-34“? ეს საუკეთესო რამ არის, რაც კი დღემდე შეუქმნიათ ტანკების დარგში“.

* * *

ცნობილი პოლონელი პატრიოტის კაზიმირ სოკოლინსკის პარტიზანულმა რაზმმა ორი თვის ბრძოლების განმავლობაში გაჟლიტა 268 ჰიტლერელი, დაანგრია 9 ხიდი და ლიანდაგიდან გადააგდო 4 სამხედრო მატარებელი. გარდა ამისა, პარტიზანებმა გაუნადგურეს მამული გერმანელ მემამულეს და დიდძალი პური დასწვეს.

9 სექტემბრის საღამოს ცნობა

9 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე **ნოვოროსიისკისა** და **მოზდოკის** რაიონებში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

8 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 40-მდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 20 ავტოცისტერნი საწვავიანად, ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის 8 ბატარიის ცეცხლი, ააფეთქეს საომარ მასალათა 3 საწყობი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის დასავლეთით ჩვენი ჯარები დაძაბულ ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებთან. ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა 2 დასახლებული პუნქტი დასტოვეს. 6 მსროლელი ნაწილის გვარდიელებმა ჰიტლერელთა რამდენიმე იერიში მოიგერიეს. მოსპობილია გერმანელთა 10 ტანკი, 14 ქვემეხი და მტრის 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას დიდ ზარალს აყენებენ ჩვენი ტანკისტები. სატანკო ეკიპაჟმა ამხ. ბოროვკოვის, პუხალსკისა და ვასილიევის შემადგენლობით მოსპო გერმანელთა ერთი ტანკი, 8 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 2 ავტომანქანა საომარ მასალიანად. ეკიპაჟმა ამხ. ბელიკოვის მეთაურობით დააზიანა გერმანელთა 2 ტანკი, მოსპო 2 ქვემეხი და გაჟლიტა ერთ ოცეულამდე ჰიტლერელი. სულ დღის განმავლობაში 6 ნაწილის ტანკისტებმა მტრის 13 ტანკი დააზიანეს.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ მტრის გააფთრებულ იერიშებს. გერმანელებმა დაჰკარგეს 7 ტანკი და ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. 6 ნაწილის ტანკისტებმა რუმინელთა ორი ასეული ქვეითი ჯარი მოსპეს.

* * *

ნოვოროსიისკის რაიონში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. გერმანელები, ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ უდიდესი ზარალის შემდეგ, გამოიჭრნენ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ განაპირა უბნისაკენ. ჩვენი ჯარები კონტრიერიშებით აკავებენ შეტევაზე გადმოსულ მტერს. საბჭოთა არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით თავდასხმებით გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ბრძოლის ველზე დარჩა 5 დამწვარი ტანკი, 8 ავტომანქანა და რამდენიმე ასეული მოკლული ჰიტლერელი. ჩვენმა მფრინავებმა, სახმელეთო ნაწილებთან თანამოქმედებით, საიერიშო და ბომბდამშენი თავდასხმებით მოსპეს კოლონა გერმანელთა ტანკებისა და ავტომანქანებისა, რომელნიც ბრძოლების ადგილს უახლოვდებოდნენ.

* * *

მოზდოკის რაიონში საბჭოთა ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის დაჯგუფების მოსასპობად მდინარის სამხრეთ ნაპირზე. ჩვენი მებრძოლების დარტყმებმა ჰიტლერელები აიძულეს უკან დაეხიათ. 6 ნაწილმა მოსპო 3 ტანკი, 7 ქვემეხი და 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

გერმანელ ჯარისკაც ფრანც დიტცს აღმოაჩნდა ვინმე შოლცისათვის ქ. რატიბორს გასაგზავნი წერილი. ამ წერილში ნათქვამია: „უკვე ერთი წელიწადია რაც ვომობთ. მეგონა, რომ ახლა მაინც მოვახერხებდი დასვენებას, მაგრამ უკანასკნელ წუთს ყველაფერი შეიცვალა. უკვე მეორე დღეა მატარებლით მივდივართ ფრონტის ახალ უბანზე. აღარავითარი ხალისი არა მაქვს, რომ მოწინავე ხაზებზე მოვხვდე, სადაც ყოველდღე იღუპებიან ამხანაგები... რა საშინელი ზარალი მოგვაყენეს რუსებმა ამ უკანასკნელ ბრძოლებში. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამ ზაფხულს ომი დამთავრდებოდა. ამაო გამოდგა. ახლა სავსებით აშკარაა, რომ წელს ომის დამთავრებაზე ფიქრიც ზედმეტია. თავზარსა მცემს მომავალი ზამთარი და მზად ვარ უარი ვთქვა უაღრესად დიდ ჯილდოებზე, ყველაფერზე, რაც კი ამ ქვეყნად მოიპოვება, ოღონდ აქედან დავაღწიო თავი“.

* * *

გერმანელთა მე-100 ქვეითი დივიზიის უნტერ-ოფიცერმა ჰაინც ხ-მ, რომელიც ნებაყოფლობით დაგვნებდა ტყვედ, განაცხადა: „კიევში ვნახე შიმშილით დასიებული ქალები და ბავშვები, რომელნიც აჩრდილებივით დაძრწოდნენ ქუჩებში და პურს დაეძებდნენ. გერმანელი სამხედრო ხელისუფალნი თავიანთ მონებსავით ეპყრობიან რუსებსა და უკრაინელებს. ჩემს იქ ყოფნის დროს კიევიდან 5 ეშელონი უკრაინელები გაგზავნეს გერმანიაში. მამაკაცებსა და ქალებს იჭერდნენ ბინებში, ქუჩებში და ბადრაგით ჰგზავნიდნენ ვაგზალზე. ვინც წინააღმდეგობის გაწევას სცდილა სტიკით სცემდნენ. რამდენიმე უკრაინელი, რომელთაც უარი სთქვეს გერმანიაში იძულებით სამუშაოზე წასვლისაგან, გესტაპოელებმა ვაგზალთან ჩამოახრჩეს“.

ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა მტკიცე და ურღვევია

სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. პატარა-შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საპასუხო წერილი

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისადმი

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო ძმებო და დებო!

ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მოწოდება ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებს ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის სიმტკიცეს და ძლევამოსილებას, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხთა ერთსულოვან გადაწყვეტილებას და მზადყოფნას — ბოლომდე იბრძოლონ ჰიტლერელი ავაზაკების სრული განადგურებისათვის.

მოძმე ხალხთა ურღვევი მეგობრობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს თქვენგან მიღებული წერილი, რამაც აღგვაფრთოვანა თქვენს მიერ მოპოვებული წარმატებების გაცნობით.

გამხეცებული ქოფაკი ფაშისტები—კოლმეურნეთა ეს უბოროტესი მტრები, მიუხედავად მათი დიდი დანაკლისისა, კავკასიის სიღრმეში მოისწრაფვიან, ცდილობენ გაანადგურონ, მოსპონ ჩვენი სამშობლო, ჩვენი აყვავებული კულტურა და მონებად აქციონ ამიერ-კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები, რომლებმაც საბჭოთა წყობილების პირობებში მოიპოვეს ნამდვილი ნაციონალური აღორძინება. მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება. ამიერ-კავკასიის ხალხები თავიანთ უფროს ძმასთან—დიდ რუს ხალხთან მხარდამხარ ბრძოლით საბოლოოდ გაანადგურებენ პირსისხლიან გერმანელ ფაშისტებს.

ჩვენი ძალა ფრონტისა და ზურგის ერთიანობაშია. კოლმეურნეები — კაცები და ქალები ყოველდღიურად აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას, სულ უფრო და უფრო მეტს სურსათს აძლევენ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.

ჩვენმა კოლმეურნეობამ საომარ ყაიდაზე გარდაქმნა მუშაობა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, უზრუნველჰყო მაღალი სამხედრო მოსავლის მიღება—საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანეთ 24 ცენტნერი პური, 19,5 ცენტნერი ქერი და სხვ., ვადაზე ადრე შევასრულეთ მთელი რიგი სახელმწიფო ვალდებულებანი. მიმდინარე წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს დროულად ჩააბარა 27.000 კილოგრამი მარცვლეული, 4.000 კილოგრამი ხორცი, 1.670 ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები.

ჩვენმა კოლმეურნეობამ შეიძინა სახელმწიფო სამხედრო სესხის ობლიგაციები 110.000 მანეთის და ლატარიის 25.000 მანეთის ბილეთები. ეს თანხა კოლმეურნეობამ ნაღდად შეიტანა. ჩვენ, კოლმეურნეები, ვმუშაობთ რა ომიანობის დროის ტემპებით, ვცდილობთ კიდევ უფრო მეტი დახმარება გავუწიოთ ფრონტს. წელს სახელმწიფოს ჩავაბარებთ 456.000 კილოგრამ ბამბას, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 298.000 კილოგრამისა, 390.000 კილოგრამ ყურძენს, ნაცვლად გათვალისწინებული 84.000 კილოგრამისა (თითოეულ ჰექტარზე კოლმეურნეობა გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერის ნაცვლად 110 ცენტნერამდე ყურძენს იღებს) და სხვ.

საუკეთესოდ დავამუშავეთ და უხვ მოსავალს იძლევა თავდაცვის ფონდისათვის დათესილი 4 ჰექტარი სხვადასხვა კულტურები.

კოლმეურნეთა დაუღალავი შრომის შედეგად ჩვენი კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი წელს 1.200.000 მანეთს მიაღწევს, ნაცვლად შარშან მიღებული 800.000 მანეთისა, ხოლო თითოეულ შრომადღეზე კოლმეურნეები გასული წლის 9 მანეთის ნაცვლად 18 მანეთამდე მარტო ფულად მიიღებენ.

სამამულო ომის დღეებში თვალსაჩინოდ გაიზარდა სტახანოველ კოლმეურნეთა რიცხვი, დღითი დღე მატულობს კოლმეურნეთა საწარმოო ენტუზიაზმი. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი კოლმეურნეებმა: ჰოვანეს გრიგორიანმა, ვაგარშაკ აზოიანმა, ჰოვანეს ხაჩატრიანმა, ჰოვანეს აკოპიანმა, მანველ სარდარიანმა და სხვ., თითოეული მათგანი დღეში 3-4 ნორმას ასრულებს. ჩვენი კოლმეურნეობის ყველა წევრი ცდილობს გადამეტებით შეასრულოს სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრი ვალდებულებანი, უფრო მძლავრი დახმარება გაუწიოს ფრონტს ვერაგი მტრის — პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში.

ამხანაგებო! ამ მრისხანე დღეებში, **როცა** ქოფაკი ფაშისტები მოისწრაფვიან კავკასიის სიღრმეში, სურთ ბინძური ფაშისტური ჩექმით გასთელონ თავისუფალი საბჭოთა ადამიანები, გაანადგურონ ჩვენი ყანები, ბაღები, სახლები, ფაბრიკები, ქარხნები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებას. იგი კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხალხების ლენინურ-სტალინურ მეგობრობას, ხელს შეუწყობს მათი ძალების უკეთ დარაზმვას ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

ახლა, როცა მოახლოებულია დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავი, მოდით, ამხანაგებო, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმულებმა კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, უფრო ხშირად გავუზიაროთ ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება, ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ დიად დღესასწაულს, ცოცხალ საქმედ ვაქციოთ ჩვენი დიდი **სტალინისადმი** მიცემული საზეიმო ფიცი.

სიკვდილი გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას!

გაუმარჯოს აყვავებულ საკოლმეურნეო ცხოვრებას!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, გენიალურ მხედართმთავარს, ჩვენს საყვარელ მასწავლებელს და მეგობარს ამხანაგ **სტალინს!**

ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. პატარა-შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დავალებით: კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ი. ავჩიანი,** კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ე. დავთიანი,** ბრიგადირები: **ქ. გევორქიანი, ს. პოღოსიანი, დ. დავთიანი, ნ. ანანიანი;** რგოლების ხელმძღვანელები: **მაშო აზოიანი, ანა ავჩიანი, ანგალატ მხითარიანი, ელიზა პეტროსიანი, რანუშ აირაპეტიანი;** სტახანოველები: **ქნკუშ აივაზიანი, ნინა ვასილიანი, რახი ივანიანი, მ. სარდარიანი, პ. პეტროსიანი, ა. დავთიანი, ბ. მარტიროსიანი, მარო ზოროიანი.**

პატარა-შაღრიარის კოლმეურნეთა კრებაზე

ერევანი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 5 სექტემბერს შედგა სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფ. პატარა-შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოწვეული იყო ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის პასუხად მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან მიღებული წერილის განსახილველად.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა სოფ. პატარა-შაღრიარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ოუვარაშ ავჩიანმა, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე, ნატანებელ და შაღრიარელ კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებაზე, ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მოწოდების პასუხად ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისადმი დახმარების გაძლიერებაზე.

კრებას სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი გააცნო ჰოქტემბერიანის მტკ-ის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. ვ. ეფრემიანმა.

წერილთან დაკავშირებით კრებაზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი კოლმეურნეები: ქ. გევორქიანი, ხ. ანონიანი, მაშო აზოიანი, პ. პეტროსიანი, მ. სარდარიანი, ელიზა პეტროსიანი და სხვ., რომლებმაც გამოთქვეს დიდი სიხარული ნატანებელთა წერილის მიღების გამო და ილაპარაკეს თავიანთ მუშაობაზე, იკისრეს ახალი ვალდებულებანი და პირობა დასდეს, რომ დიდი გადამეტებით შეასრულებენ საწარმოო დავალებებს, კიდევ უფრო გააძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას გერმანელი ფაშისტი მხეცების სრული განადგურებისათვის.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო საპასუხო წერილი სოფ. ნატანების კოლმეურნეებისადმი, რის შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოვიდა სომხეთის კ. პ. (ბ) ჰოქტემბერიანის რაიკომის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი ამხ. 5. მახმუდოვი.

კრებაზე ხშირად გაისმოდა მისალმებანი სომხურ, ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ხალხთა დიდი ბელადის, კოლმეურნეთა მეგობრის, მშობლიური დიდი **სტალინისადმი,** აგრეთვე ქართველი ხალხის ერთგული შვილის ამხ. **ლ. ბერიასადმი.**

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: სომხეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. სეწეერიანმა, საკავშირო კონკურსის ლაურეატმა ლ. მადოიანმა, აგრეთვე წოვიკ კაზარიანმა, არტუშ გევორქიანმა, მარიამ ხანუმ ასლანოვამ და სხვ. საღამოზე შესრულებულ იქნა ამიერ-კავკასიის ხალხთა სიმღერები და ცეკვები.

სახელმწიფოს მილიონ ფუთზე მეტი მარცვლეული ჩააბარეს

ვლადივოსტოკი, 9 სექტემბერი (საკდეპი). პრიმორიეს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მილიონ ფუთზე მეტი პური ჩააბარეს სახელმწიფოს. შარშან ამ დროისათვის 700 ათას ფუთზე ცოტა მეტი იყო ჩაბარებული.

გერმანელ ყალბისმქნელთა ახალი სიცრუე

ჰიტლერელებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი, როგორც პირველხარისხოვანმა ცრუპენტელებმა. მაგრამ უკანასკნელ ხანს გერმანელებმა იმდენად შეტოპეს ტყუილში და გაბნენ თავიანთ ცრუ „ცნობებში ომის შესახებ“, რომ აღარც კი ასახელებენ რაიმე ციფრებს მოწინააღმდეგის ზარალზე, არამედ უბრალოდ ჩამოსთვლიან, როგორც კი მოაფიქრდებათ, წითელი არმიის ათობით დივიზიების ნომრებს, რომლებიც ვითომდა მოსპობილია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში.

ასე, მაგალითად, 8 სექტემბერს გერმანიის სარდლობამ დიდი ამბით გამოაქვეყნა საარაკო ცნობა—მან მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ 1 მაისიდან 31 აგვისტომდე გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა ვითომდა მოსპეს „წითელი არმიის 56 დივიზია და 39 ბრიგადა“. ამ ფანტასტიკური ცნობებისათვის რომ თუნდაც ოდნავ სარწმუნო სახე მიეცათ, ამისათვის ჰიტლერის შტაბის ცრუპენტელები ჩამოსთვლიან წითელი არმიის იმ დივიზიებისა და ბრიგადების ნომრებს, რომლებიც ვითომდა მოსპობილია, ამასთან სრულიადაც არ რცხვენიათ იმისა, რომ მათ მიერ ჩამოთვლილ ბევრ დივიზიასა და ბრიგადას სულაც არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში 1942 წლის მაისიდან აგვისტომდე, ზოგიერთი მათგანი საერთოდ არც ყოფილა მოქმედი წითელი არმიის შემადგენლობაში, დანარჩენი დივიზიები კი, თუმცა ბრძოლებში დაზარალდნენ, კვლავ შეუპოვრად იბრძვიან და ურტყამენ მტერს.

ქაღალდზე საბჭოთა ჯარების მოსპობის ამოცანის გასაადვილებლად, თავიანთი თავის სანუგეშებლად და მოქორილი საბჭოთა ზარალის შესახებ გერმანიის მოსახლეობის მოსატყუებლად გერმანელები იმასაც კი არ მოერიდნენ, რომ გამოიგონეს საბჭოთა არმიის ჯარის განსაკუთრებული შენაერთები, როგორიც, მაგალითად, „დამკვრელი ბრიგადები“ და „საავიაციო ბრიგადები“, ხოლო შემდეგ მოსპობილ საბჭოთა ნაწილების სიაში შეიტანეს და ამით სრულიად იოლად გაჟლიტეს ისინი. ამასთან ჰიტლერელებმა თავიანთ ჩვეულებრივ ყალთაბანდურ ხერხს მიმართეს და კვლავ არაფერი სთქვეს საკუთარი ზარალის შესახებ, თუმცა ეს ზარალი უდიდესია.

ვაქვეყნებთ ფაქტიურ ცნობებს იმ ზარალის შესახებ, რომელიც მეომარმა მხარეებმა ნახეს ა. წ. 1 მაისიდან 31 აგვისტომდე.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლების აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაზარალდა საბჭოთა 42 მსროლელი დივიზია და 25 ბრიგადა, მათ შორის 14 სატანკო.

ამავე ხნის განმავლობაში წითელი არმიის ნაწილებმა სრულიად გაანადგურეს (მოსპობილია საბრძოლო შემადგენლობის 70 პროცენტზე მეტი) მტრის შემდეგი 73 დივიზია:

ა) გერმანელთა 1, 6, 8, 11, 22, 24, 28, 50, 57, 58, 62, 75, 79, 87, 102, 113, 123, 132, 161, 168, 170, 223, 227, 256, 269, 290, 291, 294, 297, 305, 336, 342, 377, 387 ქვეითი დივიზიები; გერმანელთა 3, 14, 36 და 60 მოტორიზებული დივიზიები და ორი მოტორიზებული დივიზია „სს“; გერმანელთა 4 და 5 სამთო მსროლელი დივიზიები; გერმანელთა 1, 2, 3, 5, 9, 11, 16, 17, 18, 19, 22 და 23 სატანკო დივიზიები. სულ განადგურებულია გერმანელთა 54 დივიზია;

ბ) რუმინელთა 1, 2, 4, 18, 20 ქვეითი დივიზიები; რუმინელთა 1 და 2 სამთო და 5 საკავალერიო დივიზიები. სულ განადგურებულია რუმინელთა 8 დივიზია;

გ) უნგრელთა 3, 7, 10, 12 და 14 ქვეითი დივიზიები და უნგრელთა სატანკო ბრიგადა;

დ) იტალიელთა 2 და 9 ქვეითი, 3 მოტორიზებული და 2 ალპური დივიზიები.

მოსპობილია აგრეთვე სლოვაკთა 1-ლი მოტორიზებული დივიზია და დანიელ ჰიტლერელთა ლეგიონი „დანია“.

გარდა ამისა, 1 მაისიდან 31 აგვისტომდე წარმოებულ ბრძოლებში საბჭოთა ჯარებმა მძიმე ზარალი მიაყენეს გერმანელთა 26, 30, 44, 56, 76, 94, 95, 121, 122, 129, 208, 212, 254, 258, 296, 299, 328, 329, 340, 384 და 385 ქვეით დივიზიებს, რომელთაც საბრძოლო შემადგენლობის 40-დან 50 პროცენტამდე დაჰკარგეს.

ასეთია ფაქტები.

ამგვარად, წარსულ ბრძოლებში წითელმა არმიამ შემუსრა მტრის ჯარების არსებითი ნაწილი. გავლის ცოტაოდენი დრო და ჰიტლერისა და მისი ვასალების დივიზიების დანარჩენ მასასაც ასეთივე სამარცხვინო დასასრული ეწევა.

საბჭოთა ხალხი, წითელი არმია საბჭოთა ქვეყანაში შემოჭრილი ყოველი გერმანელის, უნგრელის, რუმინელის, იტალიელის, სლოვაკისა და ფინელისათვის გამონახავენ ტყვიას და ორ არშინ მიწას!

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

უკანასკნელი ცნობები

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო უილკი

ანკარა, 9 სექტემბერი (საკდეპი). როგორც ანატოლიის სააგენტო გადმოგვცემს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მენემენჯოღლუმ მიიღო უილკი. საუბარი ორ საათს გაგრძელდა.

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 9 სექტემბერი (საკდეპი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 7 სექტემბერს ღამით მოწინააღმდეგის ავიაცია ერთგვარ აქტივობას იჩენდა აღმოსავლეთ ინგლისში, ცენტრალურ საგრაფოებში და ლონდონის რაიონში. ჩამოყრილმა ბომბებმა უმნიშვნელო ზარალი გამოიწვიეს.

ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმა ჰავრსა და შერბურზე

ლონდონი, 9 სექტემბერი (საკდეპი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 8 სექტემბერს „ბოსტონ“ ბომბდამშენები თავს დაესხნენ ჰავრის დოკებს. უფრო გვიან „ბოსტონ“ თვითმფრინავთა სხვა შენაერთებმა შერბურის დოკები დაბომბეს.

ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ფრანკფურტს

ლონდონი, 9 სექტემბერი (საკდეპი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 8 სექტემბერს ღამით გერმანიაზე ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმის ძირითადი ობიექტი იყო მაინის ფრანკფურტი. ქალაქში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ამ ოპერაციების მონაწილე ბომბდამშენთა დიდი შენაერთი თავს დაესხა რაინის ოლქის სხვა ობიექტებსაც.

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, 8 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელთა მე-20 სატანკო დივიზიის 92-ე მესანგრეთა ბატალიონის ობერ-ეფრეიტორმა ნ. ზუგენმა, რომელიც ნებაყოფლობით დაგვნებდა ტყვედ, გვიამბო, თუ რა ხდება ვარშავაში, სადაც იგი ხანგრძლივ მივლინებაში იმყოფებოდა.

— გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები,—ამბობს ზუგენი,—ვარშავაში ბატონ-პატრონად გრძნობენ თავს. პოლონელებს, ყოველ ნაბიჯზე აგრძნობინებენ, თქვენ „დაბალი რასის" წარმომადგენლები ხართო. პოლონელებს არა მარტო სპობენ, არამედ კიდევაც ჰყლეფენ უაღრესი ულმობელობით: სულ მცირე უკმაყოფილების გამომჟღავნებისათვის ადგილობრივ მოსახლეობას საკონცენტრაციო ბანაკებში ჰგზავნიან, სცემენ, ხვრეტენ.

უსასტიკესი ტერორის მიუხედავად, პოლონელი მოსახლეობა სამაგიეროს უხდის ჰიტლერელებს მთელი მათი ბოროტმოქმედებისათვის. თითქმის ყოველდღე ქალაქის სხვადასხვა რაიონში პოულობენ მოკლული გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებს. აი რატომ არის, რომ ვარშავაში იშვიათად შეხვდები მარტო მიმავალ გერმანელ ჯარისკაცს.

ვარშავის ოკუპაციის შემდეგ გერმანელებმა გამოჰყვეს უბნები, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ. ჰიტლერელებმა ამ უბნებს შემოავლეს ქვიტკირის მაღალი გალავანი, რომელსაც სიკვდილით დასჯის შიშით გეტოს ვერც ერთი მცხოვრები ვერ გასცდება. ამ უბნებში გერმანელთა ხელისუფლებამ ამას წინათ 20 ათასი ებრაელი გადაასახლა კიდევ გერმანიიდან. იქ არ სწყდება სხვადასხვა გადამდები სენის ეპიდემია. გეტოში ყოველდღიურად 300-400 კაცი იხოცება. მთელ ქალაქში შიმშილი მეფობს. მცხოვრებნი სუროგატებით იკვებებიან.

ბევრი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი აშკარად სპეკულანტობს. ისინი თავის იარაღსაც კი ჰყიდიან.

„ერთხელ,—ამბობს ზუგენი,—ჩემს მანქანაში ავტომატი და რამდენიმე გრანატი დავტოვე. რომ დავბრუნდი, იარაღი აღარ დამხვდა. მანქანაში იდო ბარათი, რომლითაც პოლიციის უახლოეს სამმართველოში მიბარებდნენ. იქ იარაღი დამიბრუნეს და გამაფრთხილეს, ვარშავაში დაახლოებით 2.000 გერმანელი დეზერტირია, რომელნიც იარაღს იპარავენ და პოლონელებზე ჰყიდიანო".

35-ე ქვეითი დივიზიის ეფრეიტორმა შტეკმაიერმა უამბო ზუგენს, რომ ორმა ჯარისკაცმა გაჰყიდა საწვავარი, ორმა უნტერ-ოფიცერმა ერთი ვაგონი ხე-ტყე მიჰყიდა სპეკულანტებს.

ვარშავაში რამდენიმე ბანაკია რუსი ტყვეებისათვის. ზუგენმა ერთ-ერთი მათგანი ინახულა. ტყვეებს ძონძები აცვიათ. მათ დახოცილი ცხენების ხორცითა და ქატოთი ჰკვებავენ. ზამთრის განმავლობაში დაიხოცა თითქმის ყველა, ვინც კი იქ მიიყვანეს.

Ი. ᲙᲐᲞᲚᲐᲜᲡᲙᲘ

ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, 7 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელები სოფლიდან გარეკეს. გვარდიის სერჟანტმა ბარანოვმა ფაშისტების მიერ მიტოვებული ქვემეხი შენიშნა. იგი სავსებით ვარგისი იყო. იქვე ახლოს ყუმბარები ეწყო. ბარანოვმა ლულით დასავლეთისაკენ მიაბრუნა ზარბაზანი, გასტენა და დაუშინა გაქცეულ გერმანელებს. სერჟანტმა დაახლოებით 100 ფაშისტი დახოცა.

იმ ქვეგანაყოფმა, რომელშიც ბარანოვი მსახურობს, სარდლობის საბრძოლო ბრძანება შეასრულა და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა ოკუპანტებისაგან. ეს ის სოფელი იყო, სადაც სერჟანტი დაიბადა და გაიზარდა. აქ გაატარა მან თავისი ახალგაზრდობა.

მეტად გაიხარა კოლმეურნე პრასკოვია ბარანოვამ, როცა განმათავისუფლებელთა შორის თავისი შვილი დაინახა. სტიქიურად გამართულ მიტინგზე პრასკოვია ბარანოვამ გერმანელთა მძვინვარების შესახებ უამბო გვარდიელებს.

ფაშისტები აბუჩად იგდებდნენ გლეხებს, აოხრებდნენ მათ სახლებს. წინათ მდიდარი კოლმეურნეობის ყველა შენობა გადამწვარია, ქონება დატაცებულია. ბარანოვების ოჯახიც ცისქვეშ დარჩა.

მებრძოლებმა ბარანოვის დედას უამბეს, თუ როგორ იბრძვის მისი ვაჟი მტრის წინააღმდეგ, როგორ მოსპო მან 100-მდე ჰიტლერელი თავისი სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მეთაურმა მადლობა გადაუხადა ბარანოვას იმისათვის, რომ მან ასეთი პატრიოტი აღზარდა.

იმავე დღეს ქვეგანაყოფის მებრძოლები კოლექტიურად დაეხმარნენ ბარანოვის ოჯახს ახალი პატარა სახლის აშენებაში.

Ი. ᲙᲐᲞᲚᲐᲜᲡᲙᲘ

Ჭ Ა Ს Თ Ა Ნ

მზე აუტანლად აცხუნებდა, გეგონებოდა, იგი უძრავად ჰკიდია მცირე სარკინიგზო სადგურის თავზეო. ნ სარკინიგზო ნაწილის უმცროსი სერჟანტი ლუკაშოვი, პოსტზე რომ შეცვალეს, პირველყოვლისა ჭასთან გაიქცა.

ჭასთან კაცი იდგა. იგი აქაური არ იყო. — ლუკაშოვი კარგად იცნობდა სადგურის ახლოს მდებარე პატარა დაბის ყველა მცხოვრებს.

— შესანიშნავი წყალია, ანკარა, სამკურნალო,—საზრიანად, თანაგრძნობით სთქვა უცნობმა და თვალყურს ადევნებდა, თუ რა მოუთმენლად ეწეოდა თოკს ლუკაშოვი.

კასრი კედლებს ეხეთქებოდა და სწრაფად ამოდიოდა. აი, ბოლოს, უკვე შეიძლებოდა ტუჩებით დასწაფებოდა წყალს და ესვა სულმოუთქმელად. მაგრამ ლუკაშოვმა ერთი ყლუპიც კი არ მოსვა. მან კარდლით ამოიღო წყალი და უცნობს გაუწოდა.

—მიირთვით!

— მე უკვე დავლიე, გმადლობთ.

— კიდევ დალიეთ, წყალი წმინდაა, სამკურნალოა, ზედმეტი არ გაწყენთ.—დაჟინებით ეპატიჟებოდა უმცროსი სერჟანტი.—სანამ არ მოსვამთ, სულერთია არ მოგეშვებით...

უცნობმა ხელი გაიკრა ჯიბეს, მაგრამ სხვისი რევოლვერი უფრო მალე დაინახა, ვიდრე თავისას ამოიღებდა, და მორჩილად აწია ხელები მაღლა. გაჩხრეკისას მას უპოვნეს ბოთლი შხამით სამელი წყლის წყაროების მოსაწამლავად და სამხედრო ობიექტების დისლოკაციის რუკა. დაკითხვაზე მამხილებელი ნივთით შეპყრობილმა ფაშისტმა დივერსანტმა აღიარა, რომ გერმანელთა დაზვერვის დავალებით მოსწამლა ჭის წყალი, სურდა პირველი მსხვერპლით დარწმუნებულიყო შხამის მოქმედებაში, მაგრამ თვით გაება მახეში.

— როგორ მიხვდა?—ჰკითხა მომწამლველმა სერჟანტ ლუკაშოვზე.—იგი, ალბათ, თვალყურს მადევნებდა?

— არა, თვალყური არ უდევნებია, — მიუგო გამომძიებელმა.—მან მხოლოდ სიფხიზლე გამოიჩინა და სძლია წყურვილს, რაკი იცოდა, რომ გერმანელებს შეუძლიათ ყოველგვარი საზიზღრობა ჩაიდინონ. ეჭვის შემოწმება ადვილი იყო: ის, ვინც ჭაში აფურთხებს, იმ ჭის წყალს არ დალევს, ხოლო ვინც წყალი მოსწამლა, მით უმეტეს არ დალევს. (საკდესი).

ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲮᲔᲪᲝᲑᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, 8 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ გერმანელმა ეფრეიტორმა კარლ გარდინამ ფრონტის ხაზი გადმოლახა და ჩვენს მებრძოლთ ტყვედ დანებდა. დაკითხვისას გამოქცეულმა ილაპარაკა საშინელი მხეცობის შესახებ, რასაც ჰიტლერელები საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და თვიანთ მიერ ოკუპირებული რაიონების სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ სჩადიან.

— როგორც წესი, — განაცხადა გარდინამ, — გერმანელები სასტიკად უსწორდებიან საბჭოთა სამხედრო ტყვეებს. დაბა ვალკში ვნახე, რომ გერმანელები საზიდარში აბამდნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს და სხვადასხვა ტვირთს აზიდვინებდნენ. ცხენების მაგიერ გამოყენებულ ტყვეებს შორის ბევრი იყო დაჭრილი და ავადმყოფი, მაგრამ ეს არ აკავებდა გერმანელ ზედამხედველებს. ავადმყოფობისა და შიმშილისაგან დაუძლურებულ ადამიანებს ისინი ულმობლად სცემდნენ. ერთხელ ჩემი თვალით ვნახე, რომ გერმანელმა ზედამხედველებმა ტყვიით მოჰკლეს ორი საბჭოთა სამხედრო ტყვე, რომელთაც საზიდრის ზიდვა ვერ შესძლეს.

საბჭოთა მებრძოლებს რომ ტყვედ ჩაიგდებენ, გერმანელები სძარცვავენ მათ, შემდეგ კი ხვრეტენ ანდა შიმშილისაგან ტანჯვით თანდათანობით დახოცვას განუმზადებენ მათ. გერმანელები ათასობით ხვრეტენ სამოქალაქო მოსახლეობასაც. გერმანელებმა საშინლად ააწიოკეს ქალაქი დვინსკი. მათ გადაარჩიეს მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პარტია, ქალაქგარეთ გაიყვანეს ისინი და თვითონ გაათხრევინეს საკუთარი საფლავი. დახვრეტილებს მარხავდა სასიკვდილოდ განწირულთა შემდეგი პარტია. 6 წლამდე ასაკის ბავშვებს გერმანელები საწამლავს უშხაპუნებენ კანქვეშ,—რომ ნაკლები ვაზნა დაიხარჯოსო, — როგორც დარაჯები აცხადებენ.

ქალაქ პუშკინში გერმანელებით დასახლებულ ყველა სახლს სპეციალური ნიშანი აქვს. დანარჩენ სახლებში გერმანელ ჯარისკაცებს შეუძლიათ თავისუფლად შევიდნენ და წამოიღონ ყველაფერი, რაც კი მოეპრიანებათ, თუმცაღა, პუშკინის მოსახლეობა უკვე დიდი ხანია გაძარცულია და ხალხი შიმშილით იხოცება.

ᲢᲐᲜᲙᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ, 8 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). შოფერს ალექსანდრე ფროლოვს მსუბუქი მანქანა მიჰყავდა. მზესუმზირის ყანაში მას უეცრად სროლა აუტეხა გერმანელთა ტანკმა. ავტომანქანას ცეცხლი მოეკიდა. ფროლოვმა მოასწრო მზესუმზირებში დამალვა.

შურისგების გრძნობით აძგერდა შოფერის გული. როცა მინდორში მობორიალე ტანკი ფროლოვს გაუსწორდა, იგი ჯავშანზე შეახტა და აბტომისას ორი გრანატი იძრო. ფროლოვი კოშკურასთან მიიმალა და სარკმელი დააკაკუნა. კაკუნით გაკვირვებულმა გერმანელებმა მანქანა გააჩერეს და ფრთხილად გამოაღეს ოდნავ სარკმელი. იმ წამსვე სარკმელში გრანატები ჩავარდა. როცა ამის შემდეგ ორი გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა, მამაცი მებრძოლი სრულიად უვნებელი რამდენიმე ათეულ მეტრით იყო დაშორებული მის მიერ მოსპობილ მტრის ტანკისტებს.

Დ. ᲨᲩᲣᲙᲘᲜᲘ

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲘᲛᲘᲔᲠᲞᲝᲚᲐᲠᲔᲗᲨᲘ

ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, 6 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს იერიში მოეტანათ ჰაერიდან ერთ-ერთ ჩვენს სამხედრო ობიექტზე. მტრის თვითმფრინავები 3 ეშელონად მოდიოდნენ. მათ შესახვედრად ჩვენი ავიაგამანადგურებლები გაემართნენ. გაჩაღდა საჰაერო ბრძოლა, რომელშიც ორივე მხრიდან 100-ზე მეტი თვითმფრინავი იღებდა მონაწილეობას. მტრის ვერც ერთი მანქანა ვერ შემოიჭრა ჩვენი ავიაგამანადგურებლებისა და მეზენიტეთა ცეცხლში. გერმანელებმა 7 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

Ვ. ᲕᲘᲐᲖᲔᲛᲡᲙᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ, 9 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელმა ტანკისტებმა პირწმინდად გაძარცვეს პატარა ქალაქის მოსახლეობა და მეზობელ სოფლებში გაემართნენ. ძნელი იყო რაიმე ხეირი ენახათ აქ, რადგანაც სოფლებში უკვე იყვნენ ჰიტლერელი ქვეითი მზვერავნი, მაგრამ ზოგიერთი მაინც ახერხებდა ბატკნით, გოჭითა და ქათმებით დაბრუნებულიყო. სანადიროდ გაემგზავრა აგრეთვე ალფრედ კრიგელშტაინი —მე-3 სატანკო დივიზიის ეფრეიტორი, ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირის წევრი. იგი ორ თანამგზავრთან ერთად წავიდა, და უკან არც ერთი აღარ დაბრუნებულა: ორი მათგანი საბჭოთა მზვერავებმა მოჰკლეს, კრიგელშტაინი კი ტყვედ ჩავარდა.

— ხშირად ნადირობთ ასე ცხვრებსა და ქათმებზე?—ჰკითხეს ტყვეს დივიზიის შტაბში. ჰიტლერელმა ვაჟკაცმა სრულიად დაურცხვენლად უპასუხა:

— დიახ, მუდამ. ყუბანში ბატებს, ქათმებსა და ხილს ვიტაცებდით. აქ კარგი ცხვრებია, ბევრი ბოსტნეულია. გერმანელი ჯარისკაცები მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობისათვის წართმეული პროდუქტებით იკვებებიან.

კრიგელშტაინს ჰკითხეს — როგორ ეკიდება გერმანელებს, მისი აზრით, ჰიტლერელების მიერ ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა. კრიგელშტაინი დიდხანს იმშუშნება, ცდილობს თავი დააღწიოს პირდაპირ პასუხს, მაგრამ, ბოლოს, ამბობს:

— მოსახლეობას ჩვენ ვძულვართ. ჩვენ ყველგან ვგრძნობთ, რომ გარშემო მტრები გვარტყიან. პიატიგორსკის ახლოს პარტიზანები დაგვესხნენ თავს, 5 ჯარისკაცი აჰკუწეს და 2 მძიმედ დასჭრეს. მეორე დღეს ვილაცამ რამდენიმე მანქანა აგვიფეთქა.

Ა. ᲛᲐᲚᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲛᲐ ᲝᲠᲘ „ᲘᲣᲜᲙᲔᲠᲡᲘ" ᲩᲐᲛᲝᲐᲒᲓᲔᲡ

ᲕᲝᲚᲮᲝᲕᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ, 9 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). არტილერიის გრიალში თვითმფრინავთა წყვეტილი გუგუნი მოისმა. ქვეგანაყოფის მეთაურმა არსენ აკბიაკმა მებრძოლთ უბრძანა ტანკსაწინააღმდეგო საშურველი მოემზადებინათ საჰაერო ბრძოლისათვის, თვითონ კი გულმოდგინედ დაუწყო თვალყურის დევნება ჰორიზონტს. ცა მოწმენდილი იყო, და მალე შორს ყველამ შეამჩნია მტრის „იუნკერს-88" ბომბდამშენთა ჯგუფი. თვითმფრინავები დაბლა მოფრინავდნენ თავდაცვის წინა კიდეზე. როცა ისინი მოახლოვდნენ, 10 ტანკსაწინააღმდეგო თოფმა სროლა ასტეხა. პირველივე ზალპების შემდეგ ერთი „იუნკერსი" კვამლში გაეხვია და ტვირთიანად ჩამოვარდა. გერმანელი მფრინავები თავიანთი ყუმბარებით აფეთქდნენ. გავიდა ერთი საათი. „იუნკერსები" კვლავ გამოჩნდნენ თავდაცვის წინა კიდეზე. ახლა მათ ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდნენ. უფროსმა ლეიტენანტმა კომაროვმა რამდენიმე ჯერი ჯავშანგამტანი და ცეცხლწამკიდი ტყვია ისროლა. ერთი „იუნკერსი" ჩამოგდებულ იქნა.

ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲗᲔᲛᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 სექტემბერი (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, დღეს ჩერჩილმა თემთა პალატაში გააკეთა განცხადება სამხედრო მდგომარეობის შესახებ. მან თემთა პალატას უამბო, რომ მოსკოვში დარბაზობის დროს მას და ჰარიმანს ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ სტალინთან და მოლოტოვთან. ეს საუბრები გულთბილი და მეგობრული ხასიათისა იყო.

ჩერჩილმა განაცხადა: რუსები არ ფიქრობენ, რომ ინგლისმა ან ამერიკამ საკმარისი რამ გააკეთეს, რათა შეემსუბუქებინათ რუსეთის ტვირთი, და ეს არც არის გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ შეტევის სისასტიკეს, რომელსაც რუსები განსაკუთრებული შეუპოვრობით უმკლავდებიან. რუსები მძიმე დარტყმებს აყენებენ მოწინააღმდეგეს. პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსებს შეუძლიათ სავსებით დარწმუნებული იყვნენ ინგლისის ლოიალობასა და დახმარებაში.

ჩვენი მიზანი, განაცხადა მან, ისევე როგორც შეერთებული შტატების მიზანიც ის არის, რომ დახმარება აღმოვუჩინოთ მათ, ანგარიში არ გავუწიოთ არავითარ ზარალსა და მსხვერპლს და რაც შეიძლება მალე აღმოვუჩინოთ ეს დახმარება. ჩემი დარბაზობის შემდეგ, სთქვა ჩერჩილმა, მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა რუსეთმა მტკიცედ გადასწყვიტა იბრძოლოს ბოლომდე, ჰიტლერიზმის სრულ განადგურებამდე. როდესაც ევროპაში განთავისუფლების ჟამი დაჰკრავს, ხოლო ეს ჟამი აუცილებლად დაჰკრავს, იგი საზღაურის ჟამიც იქნება. ყველა ის, ვინც მონაწილეობას იღებდა ჰიტლერის ბოროტმოქმედებაში, მართლმსაჯულების წინაშე წარსდგება და სათანადო სასჯელს მიიღებს.

შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა, რომ რუზველტმა ივლისის განმავლობაში რამდენიმე მისია გამოგზავნა ინგლისს. ამ მისიების სათავეში იყვნენ ამერიკის სამხედრო ძალების გენერალური შტაბის მეთაური მარშალი, ამერიკის საზღვაო ფლოტის მეთაური ადმირალი კინგი და რუზველტის პირადი წარმომადგენელი ჰოპკინსი. ლონდონში მათი ყოფნის დროს მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც უდიდეს გავლენას მოახდენენ სამხედრო ოპერაციების განვითარებაზე არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ივლისის დამლევს შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება მოკავშირეთა შემდგომი მოქმედების შესახებ. ეს გადაწყვეტილებანი შეეხებოდნენ არა მარტო საომარი მოქმედების განვითარებას, არამედ როგორც ინგლისის, ისე ამერიკის ქარხნების ნაყოფიერებასაც. ამავე საკითხებმა აფიქრებინა ჩერჩილს მოსკოვს გამგზავრებულიყო.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა მიზეზები მოკავშირეთა ჯარების მდგომარეობა ეგვიპტეში ჩაეთვალა არა სავსებით დამაკმაყოფილებლად. თუმცა ჯარების საბრძოლო სულისკვეთება მაღალ დონეზეა, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვცანით ერთგვარი ცვლილება მოგვეხდინა მოკავშირეთა ჯარების სარდლობაში, რათა ახალი ბიძგი და ახალი ლიდერები მიგვეცა არმიისათვისო. ჩერჩილმა განაცხადა, რომ გენერალ ალექსანდერისა და გენერალ მონტგომერის შეერთება ყველაზე უფრო ხელსაყრელია საერთო სარდლობისათვის აღმოსავლეთში. გენერალი ოკინლეკი საკუთარი სურვილებისამებრ გადადგა; მისი სამსახური შეიძლება გამოყენებულ იქნას საომარი მოქმედების შემდგომს ეტაპზე. მიღებული მაშველი ძალების მეოხებით მე-8 არმია ამჟამად ისე ძლიერია, როგორც არასოდეს არა ყოფილა. ბრძოლების დროს მე-8 არმიისაგან ახალი არმია შეიქმნა. თემთა პალატას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მე-8 არმია არა მარტო შესძლებს გასძლოს დღეებისა და კვირეების განმავლობაში, არამედ იგი იმასაც შესძლებს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოოს წარმატებითი შეტევითი მოქმედება. უკანასკნელი კვირის განმავლობაში სამხედრო ოპერაციები არახელსაყრელად როდი ვითარდებოდა, რაც იმას ადასტურებს, რომ ჩატარებული ღონისძიებანი დროული და აუცილებელი იყო.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ზარალი ზღვაში ჯერ კიდევ მეტად დიდია, მაგრამ ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის პირველი კვირის განმავლობაში გარდატეხა მოხდა უკეთესობის მხრივ. ახალი სავაჭრო გემების მშენებლობა ზარალის ციფრს აღემატება. ეს იმას ამტკიცებს, რომ ინგლისისა და შეერთებული შტატების გაერთიანებულმა ღონისძიებებმა მოკავშირეთა საზღვაო შეიარაღებული ძალების მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია.

პრემიერმა სთქვა, რომ მალტისაკენ გემების ბადრაგობა დიდ სიძნელეებს წარმოადგენს. მაგრამ გემთა უკანასკნელი ქარავნის ჩასვლა მალტაში ამტკიცებს, რომ ამ სიძნელეების დაძლევა შეიძლება და კიდევაც ეძლევათ. ბადრაგობის საქმეში უდიდეს როლს ასრულებს ინგლისის საჰაერო და საზღვაო ძალების თანამშრომლობა. იმ ფაქტმა, რომ ამჟამად ბადრაგაში ავიანოსები იღებენ მონაწილეობას, მეტად გაადიდა ინგლისის ფლოტის ძლიერება.

ჩერჩილმა დიეპზე მოწყობილ რეიდს მძიმე და სასტიკი შეტაკება უწოდა. ასეთი შეტაკებანი სულ უფრო და უფრო ხშირად მოეწყობა ევროპის ტერიტორიაზე საომარი ოპერაციების განვითარების მიხედვით. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ეს ოპერაცია აუცილებელი მომზადება იყო ევროპის კონტინენტზე მტრის წინააღმდეგ ძირითადი გაშლილი შეტევისათვის. მტრის სარდლობამ არ იცის, თუ რა ძალებთან, როდის და სად მოუხდება მას შეჯახება.

ივნის-აგვისტოს განმავლობაში ინგლისის ავიაციამ გერმანიას ბომბების თითქმის ერთიორად მეტი ტვირთი დააყარა, ვიდრე შარშანდელი წლის იმავე პერიოდის განმავლობაში. საგრძნობლად გადიდდა მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის მარჯვედ მოხვედრების პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ავიაციასთან ერთად ამერიკელი პილოტები მოქმედებენ თავიანთი „მფრინავი ციხეებით", რაც თავის მხრივ ახალ შესაძლებლობას ჰქმნის ჰაერში საომარი ოპერაციების განვითარებისათვის.

ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 8 სექტემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც გადმოცემული აქვს მის მიერ 7 სექტემბერს კონგრესისადმი გაგზავნილი მიმართვის დედაარსი. ამ მიმართვაში რუზველტი სთხოვს კონგრესს 1 ოქტომბრამდე მოიწონოს კანონი ცხოვრების ღირებულების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების სტაბილიზაციის შესახებ.

რუზველტი მოაგონებს მის მიერ 1942 წლის 27 აპრილს კონგრესის წინაშე წამოყენებულ ცხოვრების ღირებულების სტაბილიზაციის პროგრამას, რომელიც შეიცავს: გადასახადების გადიდებას, მტკიცე ფასების დაწესებას, ხელფასის სტაბილიზაციას, ფასების სტაბილიზაციას, მოქალაქეების მიერ სამხედრო ობლიგაციების შეძენის წახალისებას, ყველა მნიშვნელოვანი საქონლის მოხმარების ნორმირებას და მოსახლეობის დანაზოგის წახალისებას. რუზველტმა აღნიშნა, ეს პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივ სრულდებაო. მის სრულ განხორციელებას ის უშლის ხელს, რომ კვლავ იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები და არ არსებობს შესაფერი საგადასახადო პოლიტიკა.

რუზველტმა აღნიშნა, რომ კონგრესს დღემდე არ მოუწონებია წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების სტაბილიზაციისა და გადასახადების გადიდების შესახებ, და განაცხადა, „ამ გადავადებამ ამჟამად ისეთ დონეს მიაღწია, რომ მთელს ეკონომიკას ემუქრებაო".

შემდეგ რუზველტმა აღნიშნა, რომ მან სთხოვა კონგრესს არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა მოიწონოს კანონი, რომელიც სპეციალურად ნებას რთავს პრეზიდენტს მოახდინოს ცხოვრების ღირებულების, მათ შორის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასების სტაბილიზაცია. რუზველტმა განაცხადა: „ჩემს მიმართვაში აღვნიშნე, რომ თუ კონგრესი არ იმოქმედებს, ამასთან საკმარისად არ იმოქმედებს, მაშინ მე ვიკისრებ პასუხისმგებლობას და პირადად ვიმოქმედებ".

დასასრულ რუზველტი შეჩერდა მსოფლიო ომის ფრონტების მდგომარეობაზე:

„1) **რუსეთის ფრონტი.** აქ გერმანელებს არ შეუძლიათ მიაღწიონ გამანადგურებელ გამარჯვებას, რის მიღწევაც ჰიტლერმა თითქმის ერთი წლის წინათ გამოაცხადა. გერმანიამ მოახერხა რუსეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეპყრო. მიუხედავად ამისა, ჰიტლერმა ვერ მოახერხა რუსეთის ვერც ერთი არმიის მოსპობა, რაც წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს მის მთავარ მიზანს. საქმე ისე სჩანს, რომ მილიონობით გერმანელი ჯარისკაცი განწირულია კიდევ ერთი სუსხიანი ზამთარი გაატაროს რუსეთის ფრონტზე. რუსები უფრო მეტ ნაცისტებს ხოცავენ და მოწინააღმდეგის უფრო მეტ თვითმფრინავებსა და ტანკებს სპობენ, ვიდრე რომელიმე სხვა ფრონტზე ისპობა. ისინი იბრძვიან არა მარტო მამაცურად, არამედ ბრწყინვალედ. ყველა წარუმატებლობის მიუხედავად, რუსეთი გაუძლებს და თავისი მოკავშირეების დახმარებით საბოლოო ანგარიშით თავისი მიწა-წყლიდან გარეკავს ნაცისტებს — უკლებლივ ყველას.

2) **წყნარი ოკეანის რაიონი.** ეს რაიონი უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მთელი, რომელიც შეიცავს ხმელეთსა და ზღვას. ჩვენ შევაჩერეთ იაპონელთა ერთი დიდი შემოტევა და მძიმე ზარალი მივაყენეთ იაპონიის ფლოტს. მაგრამ იაპონელები ჯერ კიდევ მეტად ძლიერნი არიან, ისწრაფვიან ინიციატივა შეინარჩუნონ და, უეჭველია, კვლავ ძლიერ დაგვარტყამენ. ჩვენ ზედმეტად არ უნდა შევაფასოთ მნიშვნელობა ჩვენი წარმატებისა სოლომონის კუნძულებზე, თუმცა ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმ ხელოვნებით, რომლითაც ეს ადგილობრივი ოპერაციები ჩატარდა. ამავე დროს ჩვენ არ უნდა გამოვიჩინოთ შეუფასებლობა ჩვენი გამარჯვებისა მიდუეის კუნძულთან. ჩვენ აქ იაპონელთა დიდი შემოტევა შევაჩერეთ.

3) **ხმელთაშუა ზღვაში და შუა აღმოსავლეთის რაიონში** ინგლისელები სამხრეთ-აფრიკის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ინდოეთის ჯარებთან და სხვა გაერთიანებული ქვეყნების ჯარებთან ერთად, მათ შორის ჩვენს ჯარებთან ერთადაც, თავგანწირულ ბრძოლას ეწევიან გერმანელებთან და იტალიელებთან. ღერძის სახელმწიფოები იბრძვიან, რათა თავიანთი კონტროლი დაუწესონ ამ რაიონში იმ მიზნით, რომ იბატონონ ხმელთაშუა ზღვაში და ინდოეთის ოკეანეში და კონტაქტი დაამყარონ იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტთან. ბრძოლა ამჟამად განახლდა. ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, თუ რა საფრთხე მოგველის, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ დასასრული ხელსაყრელი იქნება.

4) **ევროპის რაიონი.** აქ ჩვენი მიზანია შეტევა გერმანიის წინააღმდეგ. არსებობს ათეულზე არანაკლები სხვადასხვა პუნქტი, სადაც შეიძლება იერიშების მიტანა. თქვენ, რასაკვირველია, იმის იმედი არა გაქვთ, რომ მე დაწვრილებით მოგახსენებთ შემდგომს გეგმებს, მაგრამ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში და ინგლისში სწარმოებს მზადება, რაც მიმართულია ამ მიზნის განხორციელებისაკენ. გერმანიის ძლიერება გატეხილ უნდა იქნას ევროპის ბრძოლის ველებზე.

ზოგიერთი ადამიანი დაჟინებით მოითხოვს, რომ ჩვენ ჩვენს ძალებს თავი მოვუყაროთ ერთ-ერთ რაიონში ამ ოთხი რაიონიდან, თუმცა არავინ არ იძლევა წინადადებას, რომ აღნიშნული ოთხი რაიონიდან რომელიმე დავტოვოთ. რასაკვირველია, ვერავინ სერიოზულად ვერ წამოაყენებდა იმ წინადადებას, რომ ჩვენ უარი ვთქვათ რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენაზე, იაპონიას დავუთმოთ წყნარი ოკეანის მთელი რაიონი, ანდა გერმანიას დავუთმოთ ხმელთაშუა ზღვა და შუა აღმოსავლეთი, ან უარი ვთქვათ გერმანიის წინააღმდეგ შეტევაზე. ამერიკელ ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენ ომის ოთხი დიდი ასპარეზიდან არც ერთს არ უგულებელვყოფთ. ზოგიერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის სამხედრო გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, თავის დროზე თქვენ შეიტყობთ, რაში მდგომარეობს ჩვენი გადაწყვეტილებანი, და ამას შეიტყობენ ჩვენი მოწინააღმდეგენიც. მე შემიძლია მხოლოდ მოგახსენოთ, რომ ყველა ეს გადაწყვეტილება იმისაკენ არის მიმართული, რომ დაწყებულ იქნას შეტევა".

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ Ა. Შ. ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 6 სექტემბერი (საკდესი). ა. შ. შტატების შრომითი რეზერვების მობილიზაციის სამმართველოს ხელმძღვანელ მაკნატის განცხადებით, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ საჭირო იქნება 18 წლისაზე უფროსი ასაკის იმ ქალთა მეექვსედი ნაწილის ჩაბმა, რომლებიც ამჟამად არ მუშაობენ. მაკნატმა აღნიშნა, რომ ამა წლის დეკემბერში ა. შ. შტატების სამხედრო წარმოებაში სამუშაო მიეცემა 4,5 მილიონ ქალს.—3 მილიონზე უფრო მეტს, ვიდრე გასული წლის დეკემბერში. 1943 წლის დასასრულისათვის სამხედრო მრეწველობაში ჩაბმული იქნება 6 მილიონი ქალი, ე. ი. ყველა მუშათა სულ მცირე 30 პროცენტი.

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 9 სექტემბერი (საკდესი). ამას წინათ იტალიაში გამოვიდა ბროშურა შემდეგი სახელწოდებით „რა ხდება საფრანგეთში?" ავტორი აღწერს საფრანგეთის პოლიტიკურ ატმოსფეროს და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ამბებისადმი. ავტორი აღიარებს, რომ ფრანგი ხალხის ფართო მასებში მტკიცდება საფრანგეთის დამოუკიდებლობის აღორძინების იმედი, რომ „საშუალო ფრანგის პატრიოტული იდეალი ერთიანი შეურიგებელი საფრანგეთია".

„თავისი სამხედრო დამარცხების შემდეგ ორი წლის განმავლობაში,—ნათქვამია ბროშურაში,—საფრანგეთი შეუპოვრად მიდის თავისი ძველი გზით. არ არსებობს მისწრაფება იმისადმი, რომ შეეგუონ ევროპაში შექმნილ მდგომარეობას. ღერძის სახელმწიფოებთან თანამშრომლობა მკვდარ, ლიტონ სიტყვად რჩება. ამ თანამშრომლობამ ვერ გაამართლა გამარჯვებულთა იმედი, იმიტომ რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის საერთო მტრულ განწყობილებას წააწყდა. საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს კვლავ სწამს ღერძის სახელმწიფოთა დამარცხების გარდუვალობა. საწინააღმდეგო მიმართულებით ცოტანი მიდიან. ცოტანი არიან გერმანიისა და იტალიის ორიენტაციისა. ის ცოტანიც კი, რომელნიც მხარს უჭერენ ღერძის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის იდეას, განუწყვეტელ ბრძოლას ეწევიან ურთიერთ შორის ძალაუფლებისათვის და ამით უამრავ სიძნელეს ჰქმნიან".

ავტორი აღნიშნავს, რომ „იტალიის მიმართ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი კვლავ ყრუ მტრულ განწყობილებას იჩენს".

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐᲜᲘ „ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ" ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 სექტემბერი (საკდესი). აგვისტოს დამლევს ბელფასტში შეტაკება მოხდა პოლიციასა და ნაციონალისტურ ორგანიზაცია—„ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" წევრთა ჯგუფს შორის; ხსენებულმა ჯგუფმა სროლა აუტეხა პოლიციის ავტომობილს. სროლის შედეგად მოკლულ იქნა ერთ-ერთი პოლიციელი. ექვსი თავდამსხმელი შეიპყრეს იარაღიანად და სამართალში მისცეს. სასამართლომ მათ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. 2 სექტემბერს ერთ-ერთი მსჯავრდადებული—ვილიამსი სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენთ სიკვდილით დასჯა სხვა სასჯელით შეუცვალეს.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ვილიამსის სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით, 2 სექტემბერს ბელფასტში არეულობა მოხდა. ბელფასტის ქუჩებში ჯავშნიანი მანქანები და პოლიციის რაზმები დადიოდნენ, რომელნიც ერეკებოდნენ „საკუთრივ ხალხს" — [illegible] ყრილ ხალხს. 1-ლ სექტემბერს ღამით პოლიციამ „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" კუთვნილი იარაღის რამდენიმე საწყობი აღმოაჩინა. ამასთან დაკავშირებით მთელს ჩრდილოეთ ირლანდიაში მრავალი ირლანდიელი ნაციონალისტი დააპატიმრეს.

ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად, მღელვარება ჩრდილოეთ ირლანდიაში არ შეწყვეტილა. 2 სექტემბერს ბელფასტის ქუჩებში ქვა დაუშინეს ამერიკელთა მანქანას. ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის სამმართველომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ რამდენიმე შეიარაღებული პირი სატვირთო მანქანით ეირედან ჩრდილოეთ ირლანდიაში შემოვიდა და აირინის საგრაფოში სროლა აუტეხა პოლიციის მანქანას. თავდამსხმელებმა დამალვა მოახერხეს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲝᲜ ᲤᲘᲜᲔᲗᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 სექტემბერი (საკდესი). „ამერიკელ ფინელთა პროფკავშირების წევრთა ნაციონალურმა კომიტეტმა", რომელიც ნიუარკში (ნიუ-ჯერსის შტატი) იმყოფება, ამას წინათ გამოაცხადა, რომ მან ამერიკის შეერთებული შტატების 4.000 პროფკავშირსა და 200 კოოპერატივს დაუგზავნა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ომი გამოუცხადონ ფინეთის მთავრობას. ამ რეზოლუციაში მოყვანილია იმის დასაბუთება, რომ საჭიროა ფინეთის დიპლომატიური მისიის დახურვა ვაშინგტონში და ფინეთისათვის ომის გამოცხადება, და აღნიშნულია, რომ ფინეთი ომს აწარმოებს გაერთიანებული ქვეყნების წინააღმდეგ, ფინეთის ბაზებს ამერიკის ხომალდების ჩასაძირავად იყენებენ, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ფინეთის დიპლომატიური მისია სარგებლობს შესაძლებლობით სამხედრო ინფორმაცია გადასცეს ღერძის სახელმწიფოებს.

აღნიშნული კომიტეტი იუწყება, რომ მთელმა რიგმა პროფკავშირებმა, რომელთა შემადგენლობაშიც ბევრი ფინელი ირიცხება, უკვე მოიწონა ეს რეზოლუცია და მისი პირები გაუგზავნა პრეზიდენტ რუზველტსა და სახელმწიფო მდივანს ჰელს მრავალი ხელმოწერით.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲐ

სამამულო ომის ვითარებაში, როდესაც მტერი უკანასკნელ ძალღონეს იკრებს, რათა შემოიჭრას ჩვენი ქვეყნის სიღრმეში, ცდილობს დაარღვიოს ჩვენი ზურგის სიმტკიცე და საქმიანობა, ბომბავს მშვიდობიან ქალაქებსა და სამრეწველო ობიექტებს, ადგილობრივ საჰაერო თავდაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის საქმიანობა იმ შემთხვევაში ასრულებს წარმატებით თავის დანიშნულებას, თუ მთელი მოსახლეობა სათანადოდ ორგანიზებულია, შესწავლილი აქვს საჰაერო თავდაცვის ყველა წესი და იცის როგორ მოიქცეს საჰაერო განგაშის დროს. საჭიროა, რომ მოსახლეობა მუდამ ფხიზლად იყოს და მოუმზადებელი არ შეხვდეს საბრძოლო პირობებს.

თბილისის მოსახლეობა სამამულო ომის პერიოდში საკმაოდ მომზადა იმისათვის, რომ ენერგიულად და ზუსტად გაატაროს ცხოვრებაში ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ორგანოების მითითებანი.

მოსახლეობის შემდგომი საბრძოლო გამოწრთობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განუხრელად და ზუსტად შესრულდეს სახლებში მორიგეობა, რაც შემოღებულია ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ბრძანებით. სახლებში, სკოლებსა და საწარმო - დაწესებულებებში მორიგეობა დაწესებულია არა ფორმალობის დასაცავად, არამედ უშიშროებისა და თავდაცვის უფრო გასაძლიერებლად, წესრიგის დასამყარებლად, შექმნილების წესების ზუსტად დაცვისათვის თვალყურის სადევნებლად, სოციალისტური საკუთრების დასაცავად და, რაც მთავარია, საჰაერო თავდასხმის დროს მოსახლეობის დროზე გასაფრთხილებლად.

თავისთავად ცხადია, რომ ყველა ის საშუალება, რომელიც მომზადებულია საჰაერო თავდასხმის შემთხვევისათვის — ცეცხლგამჩენ ბომბებთან ბრძოლის საშუალებანი, თავშესაფრები, ხვრელები, ქიმიური თავდაცვის საშუალებანი და სხვ.—უსარგებლო აღმოჩნდება, თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები მოსახლეობის გასაფრთხილებლად. ეს კი ევალებათ სახლების მორიგეებს, რომლებიც ფხიზლად უნდა იყვნენ თავიანთ სადარაჯოზე და საჭირო შემთხვევაში აცნობონ მოსახლეობას მოახლოებული საჰაერო თავდასხმის შესახებ. იქ, სადაც მორიგეობა სათანადოდ არის დაყენებული, მორიგეებმა იციან თავიანთი მოვალეობა,—მცხოვრებთ შეუძლიათ ღამე მშვიდად მოისვენონ.

თბილისში მრავალია ისეთი სახლი, სადაც მორიგეობის საქმეს ჯეროვანი ყურადღება ექცევა. ასეთებია სუნჯის ქუჩაზე (ლენინის რაიონი) მდებარე სახლი № 10 (სახლის მმართველი ჭეიშვილი), ჟორესის ქუჩაზე (სტალინის რაიონი) № 29 სახლი (სახლის მმართველი თეიმურაზოვა), ჭავჭავაძის ქუჩაზე (ბერიას რაიონი) № 11 სახლი (სახლის მმართველი სეფერთელაძე) და სხვ. ამ სახლებში წინასწარ სდგება მორიგეობის გრაფიკი, მცხოვრებლები უკლებლივ გამოდიან სამორიგეოდ, მორიგე გარეგნულად განირჩევა სხვა პირებისაგან—აქვს სამკლაური და აირწინაღი და სხვ.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი სახლები, როგორც, მაგალითად, კიროვის რაიონში მუხრანის ქუჩაზე მდებარე № 25 სახლი (სახლის მმართველი მაჭავარიანი), ენგელსის ქ. № 22 (სახლის მმართველი უშბატოვი), ორჯონიკიძის რაიონში ლენინის ქ. № 54 სახლი (სახლის მმართველი გაბარაშვილი), სადაც მორიგეობა ცუდად არის დაყენებული.

ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის მოწინავე ადამიანებთან ერთად, სამწუხაროდ, კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ თავი აარიდონ ამ მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმის შესრულებას. რასაკვირველია, ასეთ პირებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. მათ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევაგნებინოთ, რომ ადგილობრივი თავდაცვის საქმე ყველასათვის აუცილებელი და სავალდებულოა.

მაიორი **Ი. ᲙᲝᲠᲫᲐᲫᲔ**

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი.

„ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲤᲘᲪᲘ"

თბილისის კინოსტუდიის ქრონიკის სექტორმა დაასრულა მუშაობა დოკუმენტალურ ფილმზე, რომელიც ასახავს ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტურ მიტინგს, შემდგარს თბილისში 23 აგვისტოს.

ფილმი გადაღებულია ა. აჯიბეგაშვილის, ლ. არზუმანოვისა და ნ. ნაგორნის მიერ. ფილმში აღბეჭდილია მთელი რიგი ორატორების გამოსვლა და ჩაწერილია მათი სიტყვების ნაწყვეტები.

კინოქრონიკის სპეციალური გამოშვება, რომელიც მონტირებულია რეჟისორ ი. კანდელაკისა და შ. ჩაგუნავას მიერ, ნაჩვენები იქნება თბილისის კინოთეატრებში ამ დღეებში.

(საქდესი).

ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

11 სექტემბერს, საღამოს **7** საათზე, ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში (სასწავლო შენობა № 2/4) შესდგება **პროფ. ტალახაძის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ხალხთა ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში.

ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2841800, გაცემული სერგო თედორეს-ძე **ღლონტის** სახელზე, და საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3087537, გაცემული თინა სერგოს-ასულ **ღლონტის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4341687, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მიერ დავით მიხეილის-ძე **მელქუაშვილის** სახელზე, პარტბილეთი № 1522334, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მიერ რაჟდენ ილარიონის-ძე **პირველის** სახელზე, პარტბილეთი № 4341656, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მიერ ივანე ლევანის-ძე **გიგაურის** სახელზე, და პარტბილეთი № 3300098, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მიერ ილია ნიკოლოზის-ძე **მეგუთნიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲞᲐᲠᲙᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲮᲝᲞᲔᲠᲐ — 10 სექტემბერს — „ტოსკა", 11 სექტემბერს — „დაისი". **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** — 10 სექტემბერს — „მოსკოვის ბჭესთან", 11 სექტემბერს — „კოკვიძე". **ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** 10 სექტემბერს — „ინჟინერი სერგეევი", 11 სექტემბერს — „ხანუმა". **ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** — 10 და 11 სექტემბერს — „ბარბაროსები". **ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ** — 10 სექტემბერს — „აღმოსავლეთის დანტისტი", 11 სექტემბერს — „გეორგ მარზპეტუნი". **ᲐᲮᲣᲜᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ** — 10 სექტემბერს — „გულშან ანა", 11 სექტემბერს — „ქემალ". **ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ** — 10 სექტემბერს — „არშინ-მალ-ალან", 11 სექტემბერს—„საქორწინო მოგზაურობა". **ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ** — ყოველდღე სიმფონიური ორკესტრი, ჯაზი, ცეკვა, კარუსელი და სხვ.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახ., ოქტომბერი, კომკავშირელი, სპარტაკი და ლუქსემბურგის სახ. — „გიორგი სააკაძე". 26 კომ სახ. — „პეპო", კომინტერნი — „საიდუმლო კუნძული", მეცნიერება და ცოდნა — „პარტიზანის ქალიშვილი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
Ვ. ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თბილისის სატყეო მეურნეობის მუშამოსამსახურეები იუწყებიან შოთა ჯაფარიძის დისწულის პატარა
ᲨᲝᲗᲘᲙᲝ ᲒᲣᲐᲫᲘᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/IX, სოფ. შარდომეთში (ონის რ.). 1126

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან ირაკლი კერესელიძის დედის
ᲔᲤᲠᲝᲡᲘᲜᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡ
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/IX, 6½ ს. გამოსვენება 11/IX, 6 ს. ორჯონიკიძის ქ. № 78. 1033

თბილისის ქალაქის რკინიგზის სადგურის კოლექტივი იუწყება თამარ ბაქრაძის მამის
ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲘᲚᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/IX, 6½ ს. ორჯონიკიძის ქ. № 113, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1034

საქ. მიწსახკომის სახელმწიფო საჯინიბოების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება კ. ი. ჯაფარიძის მეუღლის
ᲔᲚᲘᲜᲔ ᲔᲠᲛᲘᲚᲔᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ
გარდაცვალებას. გამოსვენება 10/IX, 6 ს. ტურგენევის ქ. № 2, დაკრძალვა ვერის ძველ სასაფლაოზე. 1120

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორის თანამშრომლები იუწყებიან დოცენტ ბარნაბ ხაჭაპურიძის მამის
იოსებ დავითის-ძე ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲫᲘᲡ
გარდაცვალებას. 1123

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან კბილის კაბინეტის გამგის თამარ თათარიშვილის დის
ᲜᲔᲚᲘ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/IX, 7 ს. პლეხანოვის პროსპ. № 171, დაკრძალვა 11/IX, 6 ს. 1032

საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საშტატო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ 13/IX, 1 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲔᲑᲣᲙᲘᲡ
სამოქ. პანაშვიდი. 1129

თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების ადმინისტრაცია და ადგილკომი იუწყებიან მ. ჯომარჯიძის დედის
ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ-ᲐᲡᲣᲚ ᲯᲝᲛᲐᲠᲯᲘᲫᲘᲡ
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/IX, ბორჯომ-ბაღში. 1131

საქ. სსრ განსახკომის სათამაშოთა ლაბორატორიის პირველი საბავშვო ბაღის და სათამაშოთა მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან სათამაშოთა ლაბორატორიის დირექტორის ბარნაბ ხაჭაპურიძის მამის
იოსებ დავითის-ძე **ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲫᲘᲡ**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/IX, სოფ. ოფურჩხეთში (ქუთაისის რ.). 1130

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 7998